



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და
პრობაციის ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
LEPL – NATIONAL AGENCY FOR CRIME PREVENTION, EXECUTION OF NON-
CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION



KA010154850770820

0177 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42, საქართველო, ტელ. /Tel.: (995 32) 2303012

№ 2/87818

10 / დეკემბერი / 2020 წ.

სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - სააგენტო) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ 2020 წლის ანგარიშს.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - სააგენტო) 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია 47 განცხადება. აქედან ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 2 ერთეული.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2020 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნა არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებიდან:

იმ განცხადებებიდან, რომლებიც განეკუთვნებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას (47), საჯარო ინფორმაცია გაიცა და, შესაბამისად მოთხოვნა დაკმაყოფილდა 21 შემთხვევაში; (26) განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სააგენტოში ადგილი არ ჰქონია.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უმეტესად შემოსული განცხადებები შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

1 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო სააგენტოს უფროსმა თათია ხოჭოლაძემ;

10 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მენეჯერმა (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირი) ხათუნა წინაძამ;

1 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გუგა მირიანაშვილმა;

1 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა ბაბლიძემ;

3 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მადონა ითაშვილმა;

5 განცხადება განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირი) მადონა ითაშვილმა;

სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დანაშაულია პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სააგენტოს დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სააგენტოში დაკულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებლები უთითებენ მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებებში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელეების დადების არც ერთი ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდში არ მიღებულა. შესაბამისად, არ წარმოშობილა მოქმედი საკანონმდებლო აქტების ამ კუთხით გამოყენების საჭიროება.

საანგარიშო პერიოდში სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება სასამართლო და ადმინისტრაციული წესით არ გასაჩივრებულა. ასევე, არ წარმოშობილა ხარჯები.

სსიპ-დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად



თათია ხოჭოლავა